200
ოქროს ჰადისი

აბდულ მალიქი

200 ოქროს ჰადისი

ავტორი: აბდულ მალიქი.

ალლაჰის სიტყვები:

და რაც მოგცათ შუამავალმა, აიღეთ, ხოლო რაც აგიკრძალათ, თავი შეიკავეთ! [1]

---

[1] ჰაშრ 59:7

1. საქმეები ფასდება განზრახვით(ნიათით) და ყოველი ადამიანი დაჯილდოვდება თავისი განზრახვის მიხედვით [2]

2.უეჭველად ალლაჰი არა თქვენს გარეგნობას და სიმდიდრეს შეხედავს, არამედ ის უყურებს თქვენს გულებს და საქმეებს **და თითით მიუთითა გულისკენ** [3]

3. ხალხო! პატიება სთხოვეთ ღმერთს, მე ღმერთს პატიებას დღეში სამოცდაათჯერ ვთხოვ. [4]

4. ჭეშმარიტად, ალლაჰი მიიღებს მისი მსახურის მონანიებას, ვიდრე სული ყელში არ მიებჯინება (ეი. ვიდრე მოკვდება) [5]

---

[2]ბუხარი 1

[3]მუსლიმი 2564

[4]მუსლიმ 2702

5. ის, ვისაც ალლაჰისა და განკითხვის დღისა სწამს, გაჩუმდეს, ან კარგი ილაპარაკოს. [6]

6. მოთმინება არის მხოლოდ უბედურების პირველ დარტყმაზე [7]

7. მე გაკვირვებული ვარ მორწმუნეების მდგომარეობით; თუ რაიმე კარგი მოხდება, იგი ღმერთის მადლიერია და ეს კარგია მისთვის. თუ რაიმე ცუდი მოხდება; მოთმინებას ავლენს, და ესეც კარგია მისთვის. და ეს არ ხდება არავის თავს, გარდა მორწმუნეთა. [8]

---

[5] თირმიზი 3537

[6] ბუხარი 6138

[7] ბუხარი 1283

[8] მუსლიმი 2999

8. ძლიერი მამაკაცი ის კი არ არის, ვინც დაამარცხებს სხვას (ბრძოლაში), არამედ ძლიერი კაცი ის არის, რომელიც, აკონტროლებს თავს, როცა გაბრაზებულია [9]

9. ერთმა კაცმა უთხრა ალლაჰის შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას): მირჩიე რამე. მან უთხრა: არ გაბრაზდე. კაცმა გაუმეორა თავისი შეკითხვა რამდენიმეჯერ, და ყოველ ჯერზე შუამავალი ეუბნებოდა მას: არ გაბრაზდე. [10]

10. მიატოვე ის, რაც გაეჭვებს რათა არ იყო ეჭვში, რადგან სიმართლე არის სულის სიმშვიდე, ხოლო ტყუილი თესავს ეჭვს. [11]

---

[9] ბუხარი 6114

[10] ბუხარი 6116

[11] თირმიზი 2518

11. გეშინოდეთ ალლაჰისა, სადაც არ უნდა იყოთ, ყოველი გაკეთებული ცუდი საქმის შემდეგ კარგი გააკეთეთ, და ადამიანებს კარგი ზნეობით მოეპყარი. [12]

12. საუკეთესო მოწყალება ისაა, როდესაც მაშინ გასცემ, როცა ჯანმრთელი ხარ და სიძუნწე გძლევს, გამდიდრებაზე ოცნებობ და გეშინია სიღარიბის. [13]

13. კარგი მუსლიმანი ისაა, ვინც მიატოვებს იმას, რაც მას არ ეხება. [14]

---

[12] თირმიზი 1987

[13] ნასაი 2542

[14] თირმიზი 2317

14. არსებობს ორი დალოცვილი(რაღაც) რომლებსაც ხალხი კარგავს: (ესენია) ჯანმრთელობა და თავისუფალი დრო, კარგის გასაკეთებლად. [15]

15. როცა ადამიანი ავად გახდება ან გაემგზავრება, ჯილდო დაეწერება მას იქედან გამომდინარე თუ რას აკეთებდა ის ჯანმრთელობის დროს სახლში ყოფნისას. [16]

16. მუსლიმმა რაც არ უნდა დარგოს, ან დაამუშავოს მიწა, და მისგან ჭამონ ადამიანებმა ან ცხოველებმა, ან ნებისმიერმა სხვამ, ეს იქნება მისი მოწყალება. [17]

---

[15] ბუხარი 6412

[16] ბუხარი 2999

[17] მუსლიმი 1552

17. ყოველი კეთილი საქმე მოწყალეგბაა. [18]

18. არცერთი სიკეთე უმნიშვნელოდ არ ჩათვალოთ, თუნდაც შენს ძმასთან მომღიმარი სახით შეხვედრა. [19]

19. დაიცავით თქვენი თავები ცეცხლისგან, თუნდაც ნახევარი ფინიკით. [20]

20. ალლაჰის შუამავალმა(ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: განკითხვის დღეს, მე ვიქნები ლიდერი ადამის

---

[18]ბუხარი 6021

[19] მუსლიმი 2626

[20]ბუხარი 1417

შთამომავლობაში და მე ვიქნები პირველი, ვინც იქომაგებს და პირველი, ვის ქომაგობასაც მიიღებს (ღმერთი.) [21]

21. ირბად იბნ სარიია ყვებოდა: "ალლაჰის შუამავალმა ერთხელ წაგვიკითხა ქადაგება, რომლის გამო შეშფოთდა ჩვენი გულები და აცრემლიანდა ჩვენი თვალები. ჩვენ ვუთხარით მას: ო, ალლაჰის შუამავალო, ეს გამოსამშვიდობელ ქადაგებას ჰგავს. რას გვიანდერძებ? მან თქვა: მე გიანდერძებთ თქვენ, რომ გეშინოდეთ ალლაჰისა, უსმინოთ და დაემორჩილოთ თქვენს მმართველებს, თუნდაც რომ თქვენი მმართველი იყოს მონა. ჭეშმარიტად, ვინც იქნებიან ჩემს შემდეგ, ისინი ნახავენ ბევრ შეცდომას. ამიტომაც გაჰყევით ჩემს გზას და მორწმუნე ხალიფების

---

[21] მუსლიმი 2278

გზას და ჩაეჭიდეთ მას კბილებით. მოერიდეთ სიახლეს, რადგან ყოველი ჩამოშორება რელიგიასთან - გზააბნევაა. [22]

22. მორწმუნეები სიყვარულში, სითბოში და თანაგრძნობაში ერთი სხეულის მსგავსია; როდესაც სხეულს რომელიმე ნაწილი სტკივა, ამას მთელი სხეული გრძნობს უძილობისა და სიცხის გამო [23]

---

[22] თირმიზი 2676

[23] მუსლიმი 2586

23. ვინც არ გამოავლენს მოწყალებას ხალხის მიმართ, ალლაჰი არ გამოავლენს მოწყალებას მის მიმართ. [24]

24. არ შეგშურდეთ ერთმანეთის, არ მოუმატოთ ხელოვნურად ფასები ერთმანეთს, არ შეიძულოთ ერთმანეთი, არ იქციოთ ზურგი ერთმანეთისგან, და არ დაუგდოთ ფასები ერთმანეთს. იყავით ალლაჰის მონები, ძმები. [25]

25. მუსლიმანი მუსლიმანის ძმაა. მან მას არ უნდა მოეპყრას უსამართლოდ, მან არ უნდა დაამციროს ის ან გაუბრაზდეს. [26]

---

[24] მუსლიმი 2319

[25]მუსლიმი 2564

[26]მუსლიმი 2564

26. დაეხმარეთ თქვენს ძმას, თუნდაც იყოს მჩაგვრელი ან დაჩაგრული. ერთმა კაცმა თქვა: ო ალლაჰის შუამავალო! მე დავეხმარები დაჩაგრულს, მაგრამ თუ ის არის მჩაგვრელი როგორ უნდა დავეხმარო მას? შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: შეუშალე ხელი ჩაგვრაში და ეს იქნება შენი დახმარება. [27]

27. მუსლიმის ვალდებულება მუსლიმების მიმართ არის ხუთი: უპასუხოს მის სალამს, მოინახულოს როცა ავადაა, დაესწროს დაკრძალვას, მიიღოს დაპატიჟება და უპასუხოს როცა დააცემინებს. [28]

28. ვინც დაფარავს სხვის ცოდვებს, ალლაჰი დაფარავს მის ცოდვებს განკითხვის დღეს. [29]

---

[27] ბუხარი 6952

[28] ბუხარი 1240

29. ვისაც სწამს ალლაჰიდ და უკანასკნელი დღე, შეინარჩუნოს ნათესაური კავშირები. [30]

30. ვინც გაზრდის ორ ქალიშვილს მომწიფებამდე (პატიოსნად), ის და მე ვიქნებით ასე განკითხვის დღეს, და მან შეატყუპა ორი თითი. [31]

31.იშუამდგომლეთ და დაჯილდოვდებით. [32]

---

[29] მუსლიმი 2590

[30] ბუხარი 6138

[31] მუსლიმი 2632

[32]მუსლიმი 2627

32. ყოველ დღე ორი ანგელოზი ჩამოდის ზეციდან და ერთ-ერთი ამბობს - ო ალლაჰ! აუნაზღაურე ყველა ადამიანს ვინც გასცემს შენი კმაყოფილებისთვის. და მეორე ამბობს - ო ალლაჰ! გაანადგურე ყველა ძუნწი.[33]

33. და ვისაც სწამს ალლაჰისა და უკანასკნელი დღის, პატივი სცეს სტუმარს.[34]

34. ვფიცავ ალლაჰს, ის არ არის მორწმუნე, ის არ არის მორწმუნე. ვინ ალლაჰის შუამავალო? - ჰკითხეს მას. ის, ვისი მეზობელიც დაცული არ არის მისი რისხვისგან. [35]

---

[33] ბუხარი 1442

[34] ბუხარი 6136

[35]ბუხარი 6016

35. ადამიანი იმ რელიგიაზეა, რომელზეც მისი ახლო მეგობარია. ასე რომ შეხედოს ყველამ თუ ვინ არის მისი მეგობარი [36]

36. ანას იბნ მალიქი გადმოსცემს, რომ ალლაჰი შუამავალი და მე მესჯიდიდან გარეთ გამოვედით და შემოგხვდა კაცი მესჯიდის ზღუბლზე, რომელმაც ჰკითხა ალლაჰის შუამავალს: როდის დადგება საათი (წარღვნა/ყიამეთი)? ალლაჰის შუამავალმა ჰკითხა: რა მოამზადე შენ მისთვის? კაცი გაჩუმდა და შემდეგ თქვა: ო, ალლაჰის შუამავალო, მე არ მომიგროვებია ბევრი ლოცვა, მარხვა და მოწყალება, მაგრამ მე მიყვარს ალლაჰი და მისი შუამავალი. ამაზე შუამავალმა(ალლაჰის ლოცვა დას სალამი მას) უთხრა: შენ იქნები იმათთან ერთად, ვინც გიყვარს. [37]

---

[36] თირმიზი 2378

[37] მუსლიმ 2639

37. ადამიანი იმასთან ერთად იქნება, ვინც უყვარს. [38]

38. მუაზ იბნ ჯაბბალი გადმოსცემს, რომ ალლაჰის შუამავალმა(ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) უთხრა მას: ვფიცავ ალლაჰს, მე შენ მიყვარხარ, ო მუაზ. მე გირჩევ შენ, რომ არასოდეს მიატოვო ამ ვედრების კითხვა ყოველი(ფარდ(ძ)ი) ლოცვის შემდეგ: "ო ალლაჰ, დამეხმარე შენს ხსენებაში, შენდამი მადლიერებაში, და შენს მიმართ კარგ თაყვანისცემაში. (ალლაჰუმმა ა'ინი 'ალა ზიქრიქა ვა შუქრიქა ვა ჰუსნი 'იბადათიქა) [39]

39. როდესაც გარდაცვლილ ადამიანს წაიღებენ საფლავისკენ, მას მიყვება სამი რაღაც, ორი ბრუნდება უკან(დაკრძალვის შემდეგ) და ერთი მასთან რჩება: მისი ოჯახი, მისი ქონება და მისი საქმეები, ოჯახი და ქონება

---

[38]ბუხარი 6138

[39] აბუ დავუდ 1522

უკან ბრუნდებიან, მაშინ როცა მისი საქმეები რჩება მასთან.[40]

40. ეს ქვეყანა ციხეა მორწმუნისთვის, და სამოთხე ურწმუნოსთვის. [41]

41. შეხედეთ იმათ, ვინც არიან თქვენზე სუსტები, და არ შეხედოთ იმათ, ვინც არიან თქვენზე მაღლა. რადგან ეს უფრო უკეთესია. თქვენ არ აფასებთ ალლაჰის წყალობას თქვენზე. [42]

42. აბუ ჰურაირა გადმოსცემს, რომ ალლაჰის სუამავალმა(ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა:

---

[40] ბუხარი 6514

[41] თირმიზი 2324

[42] თირმიზი 2513

სიმდიდრე არ არის დიდი ქონება, არამედ სიმდიდრე არის სულის სიმდიდრე. [43]

43. გამცემი ხელი, ამღებ ხელზე უკეთესია. [44]

44. სალმან ბინ უბაიდულლაჰ ბინ მიჰსან ალ-ხათმი გადმოსცემს მამამისისგან, ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: თქვენგან ვინც ადგება დილით, დაიცავს მის სახლს, ჯანმრთელობას, ექნება დღიური საჭმელი, თითქოს მთელი დედამიწა მისთვის შეიკრიბა. [45]

45. არ არსებობს შური ორი რამის გარდა: ადამიანი რომელსაც ალლაჰმა მისცა ქონება და ის ხარჯავს მას მართალ გზაზე, და ადამიანი რომელსაც ალლაჰმა მისცა

---

[43] ბუხარი 6446

[44]ბუხარი 1428

[45]თირმიზი 2346

სიბრძნე (რელიგიური ცოდნა) და ის იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას და ასწავლის მას სხვებს. [46]

46. აბდულლაჰ იბნ ამრი გადმოსცემს, კაცმა ჰკითხა შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას): რომელი საქმეა ისლამში კარგი? მან უპასუხა: დაპურება(გაჭირვებულის) და მისალმება ყველაზე ვისაც იცნობ და ვისაც არ იცნობ. [47]

47. მოწყალება არ შეამცირებს ქონებას. არავის აპატიებს, მაგრამ ალლაჰი გაზრდის მის პატივს, და ვინც დაიმბადლებს თავს, ალლაჰი აღამაღლებს მას. [48]

---

[46] ბუხარი 73

[47] ბუხარი 12

[48] მუსლიმი 2588

48. საათის (წარღვნის) მომასწავლებელი ნიშნებიდან არის:
1. რელიგიური ცოდნა აიღება(ე.ი გარდაიცვლებიან მცოდნე ხალხი).
2. უვიცობა გავრცელდება.
3. იქნება დიდი რაოდენობით ალკოჰოლის სმა.
4. აკრძალული ინტიმური კავშირები გავრცელდება. [49]

49. ალლაჰმა თქვა: "ო ადამის შვილო!

დახარჯე, და მე დავხარჯავ შენზე (ე.ი აგინაზღაურებ) [50]

50. უფრთხილდით უსამართლობას, რადგან უსამართლობა სიბნელე იქნება განკითხვის დღეს. [51]

---

[49]ბუხარი 80

[50]ბუხარი 5352

[51]მუსლიმი 2578

51. ხშირად გაიხსენეთ სიამოვნების დამანგრეველი სიკვდილი. [52]

52.სამართლიანობა კარგი დამოკიდებულებაა, და ცოდვა, რომელიც მერყეობს შენს გულში, არ გინდა, რომ ხალხმა გაიგოს ამის შესახებ. [53]

53. ალლაჰს უყვარს ღვთისმოსავი მსახური, დამოუკიდებელი და ხალხისგან ფარული.[54]

54. აბდულლაჰ იბნ მას'უდი გადმოსცემს, რომ ალლაჰის შუამავალმა(ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: ვის

---

[52]თირმიზი 2307

[53]მუსლიმი 2593

[54] მუსლიმი 2965

გულშიც მტვრის ოდენა სიამაყეც იქნება სამოთხეში ვერ შევა. ერთმა კაცმა თქვა: უეჭველად, ადამიანს უყვარს, რომ მისი კაბა ლამაზია, და მისი ფეხსაცმელი ლამაზია. შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) ამაზე უთხრა: ჭეშმარიტად, ალლაჰი ლამაზია და მას სილამაზე უყვარს. სიამაყე გაზიზღებს ჭეშმარიტებას და ის ადამიანების შეურაცხყოფაა. [55]

55. აბუ ჰურაირა გადმოსცემს, გავიგონე ალლაჰის შუამავლის(ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) სიტყვები: ამ სამნაირ ადამიანს არ დაელაპარაკება და არ განწმენდს ღმერთი სამსჯავროს დღეს: მოხუცებულ მრუშს, ამპარტავან მათხოვარსა და ადამიანს, ვინც ღმერთი თავის სავაჭრო

---

[55] მუსლიმ 91

საქონლად აქცია – იგი არც იყიდის და არც გაყიდის რაიმეს, რომ არ დაიფიცოს ღმერთი. [56]

56. თქვენგან საუკეთესოა ის, ვისაც აქვს კარგი ზნეობა. [57]

57. ერიდეთ სიძუნწეს, რადგან სიძუნწემ დაღუპა ისინი, ვინც იყვნენ თქვენზე უწინ. [58]

---

[56]მუსლიმ 107

[57] ბუხარი 3559

[58]მუსლიმ 2578

58. საუკეთესო მორწმუნე ის არის, ვისაც აქვს კარგი ზნეობა, და თქვენგან საუკეთესო ის არის ვინც კარგად ექცევა თავის ცოლს. [59]

59. შუამავალმა(ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) უთხრა აშაჯჯ 'აბდულ ყაისს: შენ გაქვს ორი ისეთი თვისება, რომლებიც ალლაჰს უყვარს: თავშეკავება და წინდახედულობა. [60]

60. ჭეშმარიტად, ალლაჰი კეთილია და სიკეთე უყვარს, და ის დააჯილდოვებს სიკეთის გზებს და

არ დააჯილდოვებს სიუხეშეს. [61]

---

[59] თირმიზი 1162

[60] თირმიზი 2011

[61] მუსლიმი 2593

61.როდესაც რომელიმე თქვენგანი დააცემინებს და განადიდებს ალლაჰს, უთხარით მას იარჰამუქალლაჰ (ალლაჰმა შეგიწყალოს), და თუ არ განადიდებს ალლაჰს, მაშინ ნუ ეტყვით. [62]

62. ყოველი მწყემსი პასუხისმგებელია თავის სამწყესურზე.იმამი მწყემსია და ის პასუხისმგებელია თავის ფარაზე. მამაკაცი არის მწყემსი თავისი ოჯახისა და ის პასუხმისგებელია თავის ფარაზე. ქალი მწყემსია თავისი ქმრის სახლისა და ის პასუხისმგებელია მასზე. მონა მწყემსია თავისი უფროსის ქონებისა და ის პასუხიმსგებელია მასზე. [63]

---

[62] მუსლიმი 2992

[63] ბუხარი 893

63. ვინც მემორჩილება მე, შევა სამოთხეში, ხოლო ვინც მეურჩება უარს ამბობს(სამოთხეზე). [64]

64. ვინც გააკეთებს ჩვენს საქმეში ისეთს, რაზეც არ იყო ჩვენი ბრძანება, ის იქნება უარყოფილი. [65]

65. ვინც იტყვის რაიმე კარგს დაჯილდოვება ისევე, როგორც ის, ვინც მას გააკეთებს. [66]

---

[64] ბუხარი 7280

[65] ბუხარი 2697

[66] მუსლიმი 1893

66. ვინც დაამოწმებს, რომ არ არსებობს ღვთაება ალლაჰის გარდა და მუჰამმადი მისი შუამავალია, ალლაჰი მისთვის ცეცხლს აკრძალავს. [67]

67. მე და ის, ვინც, აღზრდის ობოლს, სამოთხეში ასე ვიქნებით - და მან შეატყუპა შუა და საჩნებელი თითები. [68]

68. მოძებნეთ სუსტები, ვინაიდან თქვენი სუსტების გამო გეძლებათ სარჩო და გამარჯვება. [69]

69. დედამიწა სიტკბოებაა, და არაფერია მასში იმაზე მეტი სიტკბოება, ვიდრე ღვთისმოსავი ცოლი. [70]

---

[67] მუსლიმი 29

[68]ბუხარი 6005

[69]თირმიზი 1702

[70]იბნ მაჯა 1928

70. ქალი, რომელიც გარდაიცვლება და მისი ქმარი კმაყოფილია მისგან - შევა სამოთხეში. [71]

71. აიშა გადმოსცემს, შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: ჯიბრილი აგრძელებდა იმის თქმას, რომ შემენარჩუნებინა კარგი ურთიერთობა მეზობელთან იმდენად, რომ მე მეგონა იმათ ჩემს მემკვიდრედ დაასახელებდა. [72]

72. დაე მიწა ცხვირით ხეხოს, დაე მიწა ცხვირით ხეხოს, დაე მიწა ცხვირით ხეხოს. ვინ ალლაჰის შუამავალო? - ჰკითხეს

---

[71] თირმიზი 1161

[72] ბუხარი 6014

მას. მან თქვა: ის, ვის მშობელმა ან ორივემ მიაღწიეს სიბერეს, მაგრამ სამოთხეში ვერ შევიდა. [73]

73. ჩვენგანი არაა ის, ვინც პატარებს არ სწყალობს და მოხუცებულებს პატივს არ სცემს. [74]

74. ქალს ირთავენ ოთხი რამის გამო: სიმდიდრის, ოჯახური მდგომარეობის, სილამაზის და რელიგიის გამო. იქორწინეთ რელიგიურ ქალზე, თორემ (სხვაგვარად) წააგებთ. [75]

75. თქვენ ვერ შეხვალთ სამოთხეში ვიდრე არ ირწმუნებთ, და ვერ ირწმუნებთ, ვიდრე ერთმანეთს არ შეიყვარებთ.

---

[73] მუსლიმი 2551

[74] თირმიზი 1920

[75] ბუხარი 5090

გინდათ გითხრათ როგორ შეიყვაროთ ერთმანეთი? მაშინ სალამი გაავრცელეთ. [76]

76. აბუ ჰურაირა გადმოგვცემს, რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: "შვიდს დაიფარავს ალლაჰი მისი ჩრდილის ქვეშ, მაშინ, როცა არ იქნება ჩრდილი, მისი ჩრდილის გარდა. (ესენია):

სამართლიანი მმართველი, ახალგაზრდა, რომელიც აღიზარდა ალლაჰის თაყვანისცემაში, კაცს, რომლის გულიც მიჯაჭვულია მეჩეთებზე, იმ ორს რომლებსაც უყვართ ერთმანეთი ალლაჰის კმაყოფილებისათვის, ხვდებიან და შორდებიან მხოლოდ მისი (ალლაჰის) კმაყოფილებისთვის. მამაკაცს, რომელიც ისურვა ლამაზმა ქალმა და რომელიც ეტყვის:"მე ალლაჰის მეშინია", იმას, ვინც იძლევა მოწყალებას ფარულად, ისე, რომ მისმა მარცხენა ხელმა არ

---

[76] მუსლიმი 54

იცის, თუ რამდენს ხარჯავს მარჯვენა ხელი. და ადამიანს, რომელიც იხსენებს ალლაჰს როცა მარტოა, და მისი თვალები ცრემლით ივსება. [77]

77. ჯიბრილი მოვიდა და გადმომცა კარგი ამბავი, რომ თუკი ვინმე ჩემი მიმდევრებიდან მოკვდება ისე, რომ არავის ეთაყვანებოდა ალლაჰის გარდა - შევა სამოთხეში. მე ვკითხე, თუნდაც იქურდოს ან იმრუშოს? მიპასუხა - თუნდაც იქურდოს ან იმრუშოს. [78]

78. 'აბდულლაჰი გადმოსცემს, ალლაჰის შუამავალმა(ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: არ არის

---

[77] ბუხარი 660

[78] ბუხარი 7487

ჩვენიანი ის, ვინც იხოკავს სახეს, ვინც იხევს ტანსაცმელს და და მოთქვამს უმეცრების ხანის მოთქმით. [79]

79. გაუმარტივეთ და ნუ გაურთულებთ, ახარეთ და ნუ გააქცევთ(ისლამისგან). [80]

80. ვინც მოინახულებს ავადმყოფს მაშინ, რომელიც ჯერ არ მომკვდარა და ეტყვის მას შვიდჯერ: მე ვთხოვ ალლაჰს, ტახტრევნის (არშის) მეუფეს, რომ გამოგაჯანმრთელოსო, ალლაჰი განკურნავს მას ავადმყოფობისგან. [81]

81. როდესაც რომელიმე თქვენგანი შევა მესჯიდში, მან ილოცოს ორი რაქაათი(მუხლი), ვიდრე დაჯდება. [82]

---

[79] ბუხარი 1298

[80] ბუხარი 69

[81] აბუ დავუდ 3106

82. როცა ადამიანი კვდება, მისი საქმეები სრულდება, სამი რამის გარდა: განმეორებადი მოწყალება, სასარგებლო ცოდნა და ღვთისმოსავი შვილი, რომელიც დუას აკეთებს მისთვის.(რომლებსაც ტოვებს დედამიწაზე) [83]

83. ვინც ილოცავს 'იშას(იასს) ჯამაათით, მან თითქოს ნახევარი ღამე ლოცვაში გაატარა, და ვინც ილოცავს ფაჯრს(საბაჰანამაზს) ჯამაათით, მან თითქოს მთელი ღამე ლოცვაში გაატარა. [84]

---

[82]ბუხარი 1163

[83]მუსლიმ 1631

[84]მუსლიმი 656

84. როცა ადამიანს უკვდება შვილი, უზენაესი ალლაჰი ეკითხება ანგელოზებს: " თქვენ წამოიღეთ ნაყოფი მისი გულისა?"- ისინი პასუხობენ:" დიახ" მაშინ ის ეკითხება:" და რას ამბობდა ჩემი მონა?"- ისინი პასუხობენ: " მან შეგაქო შენ და თქვა: "უეჭველად, ჩვენ ალლაჰს ვეკუთვნით და უეჭველად, ჩვენ მასთან დავბრუნდებით. ! " მაშინ უზენაესი იტყვის: ააშენეთ ჩემი მონისთვის სახლი სამოთხეში და უწოდეთ მას "ქების სახლი" [85]

85. ხუთი რამე არის ფიტრათი: წინდაცვეთა, უხერხული ადგილების გამოპარსვა, ულვაშების დამოკლება, ფრჩხილების დაჭრა და იღლიებიდან თმების მოშორება. [86]

---

[85] თირმიზი 1021

[86] ბუხარი 5891

86. როდესაც რამადანის თვე იწყება, სამოთხის კარიბჭეები იხსნება და ჯოჯოხეთის კარიბჭეები იკეტება, და ეშმაკებს ბორკილები ედება. [87]

87. ჭამეთ საჰური, რადგან საჰურში ბარაქაა. [88]

88. ალლაჰი ამბობს: ადამის შვილის ყოველი საქმე მისთვისაა, მარხვის გარდა და მე დავაჯილდოვებ მას ამისათვის. მარხვა ფარია და როდესაც ვინმე მარხულობს მან უნდა ერიდოს ცუდ საუბარს და ჩხუბს. თუ ვინმე წაეჩხუბება ან მიაყენებს შეურაცხყოფას მან უნდა უთხრას: მე ვმარხულობ. [89]

---

[87] ბუხარი 1899

[88] ბუხარი 1923

89. ვინც არ მიატოვებს ტყუილს და მისი მეშვეობით საქმის კეთებას, ალლაჰს არ სჭირდება მისგან საჭმელზე და სასმელზე უარის თქმა. [90]

90. ალლაჰმა დალოცოს ის კაცი, რომელიც რბილია ყიდვა-გაყიდვაში და თავისი ფულის მოთხოვნაში. [91]

91. მიეცი მუშას თავისი გასამრჯელო სანამ მისი ტანსაცმელი გაშრებოდეს. [92]

---

[89] ბუხარი 1904

[90] ბუხარი 1903

[91] ბუხარი 2076

[92] იბნ მაჯა 2443

92. ღმერთს უყვარს თქვენი (ღვთისმოსავი) საქმე, თუნდაც ეს იყოს მცირედი [93]

93. ვინს იმარხავს რამადანში და მიაყოლებს შევალის თვის ექვს დღეს, მან თითქოს მთელი ცხოვრება იმარხა. [94]

94. ალლაჰის წინაშე ყველაზე საყვარელი ადამიანი არის ის, რომელსაც მოაქვს ხალხისთვის სარგებელი, და ალლაჰის წინაშე ყველაზე საყვარელი საქმე მუსლიმის გაბედნიერებაა, ან სირთულისგან ხსნა, ან მისი ვალის გადახდა, ამ მისი დაპურება. [95]

---

[93] მუ“ჯამ ალ-ავსატ ტაბარანი 1/427

[94] მუსლიმი 1164

[95] სილსილათულ ადაისუს საჰიჰაჰ 906

95. ვინც შეიკავებს ბრაზს, ალლაჰი დაფარავს მის ცოდვებს. ვინც შეიკავებს ბრაზს მაშინ, როცა უნდა გაბრაზებულიყო, ამ საქმის გამო ალლაჰი განკითხვის დღეს, მის გულს იმედით შეავსებს. ვინც წავა მის ძმასთან(დასახმარებლად) როდესაც მას სჭირდება მაგრამ აკმაყოფილებს ძმის საჭიროებებს, ალლაჰი გაამყარებს მის ფეხს განკითხვის დღეს, მაშინ, როცა ფეხი დაუცურდება.

ცუდი დამოკიდებულება აფუჭებს კარგ საქმეებს, ისე, როგორც ძმარი აფუჭებს თაფლს. [96]

96. აბუ ჰურაირა გადმოსცემს: „ალლაჰის შუამავალმა(ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: - გაერიდეთ შვიდ მომაკვდინებელ ცოდვას! ხალხმა იკითხა – რომელია ეს შვიდი, ალლაჰის შუამავალო? – მრავალღმერთიანობა (შირქი), მკვლელობა, ჯადოქრობა,

---

[96] სილსილათულ ადაისუს საჰიჰაჰ 906

სესხიდან ვახშის აღება, ობლის ქონების მითვისება, ბრძოლის ველიდან გაქცევა და ქალების გაჭორვა.“ [97]

97. ქალი დაისაჯა იმიტომ, რომ კატას, რომელიც მას ჰყავდა, გამოამწყვდია ვიდრე არ მოკვდა. ის შევიდა ცეცხლში იმიტომ, რომ მან აღარ მისცა საკვები და წყალი როცა გამოამწყვდია, და არც გაანთავისუფლა, რათა ეჭამა მას მიწის მწერები. [98]

98. ვინც მარხულ ადამიანს მიართმევს იფთარს, დაჯილდოვდება ისევე, როგორც ის, ვინც მარხულობს, ისე, რომ მის ჯილდოს არაფერი მოაკლდება. [99]

---

[97] ბუხარი 2766

[98] ბუხარი 3482

99. არ არსებობს იმაზე საყვარელი დღეები ალლაჰის წინაშე ვიდრე (ზულ ჰიჯჯას) ათი დღე. ხალხმა ჰკითხა:

თუნდაც ჯიჰადზე ალლაჰის კმაყოფილებისათვის? მან თქვა: თუნდაც ჯიჰადზე ალლაჰის კმაყოფილებისათვის, გარდა იმ კაცის მდგომარეობისა, რომელიც გავიდა გარეთ თავისი სულით და ქონებით და უკან არაფრით არ დაბრუნებულა. [100]

100. ვინც შეასრულებს ჰაჯს და არ ჩაიდენს არავითარ სასირცხოს ან ცოდვას, დაბრუნდება უკან ისე, თითქოს ხელახლა დაიბადა (ე. ი უცოდველი). [101]

---

[99] თირმიზი 907

[100] აბუ დავუდ 2438

[101] ბუხარი 1521

101. არ არსებობს დღე, როცა ალლაჰი იხსნის თავის ბევრ მონას ცეცხლისაგან, ვიდრე არაფა დღეს. [102]

102. არსებობს ორი თვალი, რომლებსაც ცეცხლი არ შეეხება: თვალი, რომელიც ტირის ალლაჰის შიშისგან და თვალი, რომელიც ფხიზლად არის(ღამით) ალლაჰის გზაზე. [103]

103. ვინც წავა მკითხავთან, ჰკითხავს მას რაიმეს, მისი ლოცვა ორმოცი დღის განმავლობაში არ მიიღება. [104]

---

[102] მუსლიმ 1348

[103] თირმიზი 1639

[104] მუსლიმი 2230

104. რწმენა შედგება სამოცდაათი საფეხურისგან, თავდმადბლობა კი რწმენის ნაწილია. [105]

105. ადამიანნი, რომელიც სამჯერ იტყვის დილით და საღამოს, ყოველ დღე:

ალლაჰის სახელით, რომლის სახელის გარეშე არაფერი ხდება არც ცაში და არც მიწაზე, და ის ყოვლისგამგონე, ყოვლისმცოდნეაო, მას არავითარი ზიანი არ მიადგება. [106]

106. გეშინოდეს დაჩაგრულის ვედრების, რადგან მასა და ღმერთს შორის ზღუდე არ არის. [107]

---

[105] მუსლიმი 35

[106] იბნ მაჯა 3869

[107] ბუხარი 2448

107. უზენაესმა ბრძანა, თუ ადამის შვილი მოვა ჩემთან დედამიწის ოდენა ცოდვებით და წარსდგება ჩემს წინაშე ისე, რომ ჩემთვის თანაზიარი არ დაუდგენია, მე ვუწყალობებ მას იმხელავე მიტევებას. [108]

108. არ აქვს რწმენა იმას, ვინც არასანდოა და არ არის ის რელიგიური, რომელიც არ ასრულებს დანაპირებს. (საჰიჰ იბნ ჰიბბან 1:422)

109. არ არის ის ნამდვილი მორწმუნე, რომელიც თავისი ძმისთვის იგივეს არ შეიყვარებს რაც თავისთვის უყვარს. (ბუხარი 13)

110. სინათლე იქამდე აღწევს სადამდეც ვუდუ (აბდესი) აღწევს. (მუსლიმი 250)

---

[108] თირმიზი 3540

111. ღმერთის მხსენებელი და არმხსენებელი ცოცხალისა და მკვდარის მსგავსია. [109]

112. როცა რომელიმე თქვენგანი დაინახავს ცუდ საქმეს, თავისი ხელით გამოსწორება სცადოს, თუ ეს არ შეუძლია, მაშინ თავისი ენით სცადოს, და თუ ესეც არ შეუძლია, მაშინ, გულით მოიძულოს (ცუდი საქმე), ხოლო ეს რწმენის ყველაზე დაბალი გამოვლინებაა. [110]

113. არ არის მუსლიმისთვის ნებადართული, რომ მიატოვოს თავისი ძმა სამ დღეზე მეტი ხნით. [111]

---

[109] ბუხარი 6407

[110] მუსლიმი 49

[111] ბუხარი 6237

114. საქმეები შეფასდება მათი დასასრულით. [112]

115. ალლაჰისთვის ვედრებაზე ძვირფასი რამ არ არსებობს. [113]

116. ის იგრძნობს რწმენის სიტკბოებას, ვინც კმაყოფილია ალლაჰით, მისი ღმერთით და ისლამით, როგორც მისი რელიგიით და მუჰამმადით, როგორც მისი შუამავლით. [114]

---

[112] ბუხარი 6607

[113] თირმიზი 3370

[114] მუსლიმი 34

117. იყავი გულგრილი ამ ქვეყნიურის მიმართ, და ალლაჰი შეგიყვარებს. იყავი გულგრილი რაც არის ხალხის ხელში და ისინი შეგიყვარებენ. [115]

118. ჭეშმარიტად, ალლაჰი არის ჰაიი(მორცხვი, რომელიც შეეფერება მსი სიდიადეს), გულუხვი. როდესაც ადამიანი აწევს მის ხელებს მისთვის(შესავედრებლად), მას ერიდება რომ დააბრუნოს ცარიელი და უარყოფილი. [116]

119. ისწავლეთ ჩემგან თქვენი რიატუალები (ჰაჯის) [117]

---

[115] იბნ მაჯა 4102

[116] თირმიზი 3556

[117] სუნან ბაიჰაყი 5:125

120. ზამზამის წყალი დასალევადაა [118]

121. საუკეთესო წყალი, რომელიც დედამიწაზეა, არის ზამზამის წყალი. ის არის საკვების ნაწილი და ავადმყოფობისგან განკურნება. [119]

122. ორი სიტყვაა, რომლებიც არის ძალიან მარტივი ენისათვის, და ძალიან მძიმე სასწორისთვის, და ყველაზე საყვარელი მოწყალისთვის. (ესენია) სუბჰან ალლაჰი ვა ბიჰამდიჰი სუბჰანალლაზილ 'აზიმ. [120]

---

[118] იბნ მაჯა 3062

[119] ალ-მუ'მაჯ ალ ქაბირ ატ-ტაბარანი 11004

[120] ბუხარი 6682

123. ვინც იტყვის: ალლაჰი უნაკლოა და ქება-დიდება მას ეკუთვნის (სუბჰანალლაჰი ვა ბიჰამდიჰი) მისთვის სამოთხეში ხურმის ხე დაირგვება. [121]

124. ყველაზე საყვარელი სიტყვები ალლაჰის წინაშე არის ოთხი, და ნუ დაიწყებთ საქმეს მათ გარეშე: სუბჰანალლაჰი ვალჰამდულილლაჰი ვა ლა ილაჰა ილლა ლლაჰ ვა ალლაჰუ აქბარ (ალლაჰი უნაკლოა, ქება ალლაჰს, არ არსებობს ღვთაება ალლაჰის გარდა, ალლაჰი დიადია) [122]

125. განკითხვის დღეს, ჩემთან ყველაზე ახლოს მყოფი ადამიანები ისინი იქნებიან, ვინც ყველაზე მეტ სალამს მიგზავნიდა. [123]

---

[121] თირმიზი 3464

[122] იბნ მაჯა 3811

[123] თირმიზი 484

126. თუ რომელიმე ადამიანის წინაშე მახსენებენ, მაშინ სალამი გამომიგზავნეთ, და ვინც მე სალამს გამომიგზავნის, ალლაჰი მას ათ სალამს გაუგზავნის. [124]

127. ვინც ჩვენ გვატყუებს, ჩვენგანი არ არის. [125]

128. ალლაჰი ააშენებს სამოთხეში სახლს მისთვის, ვინც გულმოდგინედ შეასრულებს თორმეტ სუნნა რაქაათს: ოთხი რაქაათი ზუჰრამდე და ორი რაქაათი ზუჰრის შემდეგ. ორი რაქაათი მაღრიბის შემდეგ, ორი რაქაათი 'იშას შემდეგ და ორი რაქაათი ფაჯრამდე. [126]

129. ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: ღმერთი ამბობს: მე ვარ მესამე ორ პარტნიორთან, თუ

---

[124] ნასაი ალ-ქუბრა 9889

[125] მუსლიმი 3383

[126] თირმიზი 414

ერთი მეორეს არ მოატყუებს, მაგრამ თუ მოატყუებს, მე მათ ვშორდები [127]

130. ვინც მუსლიმან ძმას ამქვეყნად სირთულეებს მოუხსნის, ალლაჰი მას მოუხნის სირთულეებს განკითხვის დღეს. [128]

131. ვინც გადაუვადებს(მევალეს), რომელიც გასაჭირშია, ალლაჰი მას შვებას მოგვრის როგორც ამქვეყნად ისევე იმქვეყნად. [129]

132. ვინც ქვრივს ან ღარიბს უვლის, მუჯაჰიდის მსგავსია, რომელიც იბრძვის ალლაჰის გზაზე, ან იმის მსგავსი, ვინც ლოცულობს ყოველ ღამით და ყოველდღე მარხულობს. [130]

---

[127] აბუ დავუდ 3383

[128] მუსლიმი 2609

[129] მუსლიმი 2699

133. ალლაჰი დაეხმარება იმ ადამიანს, რომელიც ეხმარება მის ძმას. [131]

134. სა'დ ბინ 'უბადა გადმოსცემს, რომ მან ჰკითხა: ო, ალლაჰის შუამავალო, სა'დის დედა გარდაიცვალა, რომელი მოწყალებაა საუკეთესო? მან თქვა: წყალი. მან გათხარა ჭა და თქვა: ეს არის სა'დის დედის სასარგებლოდ. [132]

135. ყოველი სულიერის მიმართ სიკეთის გამოვლენაში ჯილდოა. [133]

---

[130] ბუხარი 5353

[131] მუსლიმი 2699

[132] აბუ დავუდ 1681

[133] ბუხარი 2466

136. ვინც დაჟინებით ითხოვს პატიებას, ალლაჰი გაანთავისუფლებს მას ყველა დარდისგან, და მისცემს გამოსავალს ყველა სირთულისგან, და სარჩო მიუვა იქედან საიდანაც არ ელოდება. [134]

137. ის, ვინც მადლობას არ გადაუხდის ალლაჰს, ის არც ხალხს გადაუხდის მადლობას. [135]

138. ჭეშმარიტად, მარხული ადამიანის პირიდან გამოსული სუნი, ალლაჰის წინაშე მუსქზე უკეთესია. [136]

---

[134] იბნ მაჯა 3819

[135] აბუ დავუდ 4813

[136] ბუხარი 5927

139. ვინც ალლაჰის კმაყოფილებისათვის იმარხავს ერთ დღეს, ალლაჰი მას ჯოჯოხეთის ცეცხლისგან სამოცდაათი წლის სავალი მანძილით დააშორებს. [137]

140. ვინც ლოცვაზე დადგება ყადირის ღამეს, გულწრფელად და ალლაჰისაგან ჯილდოს იმედით, ეპატიება ყველა მისი ცოდვა. [138]

141. ვინც იმარხავს რამადანის თვეში გულწრფელი რწმენით, და ალლაჰის ჯილდოს იმედით, მისი ყველა ცოდვები ეპატიება. [139]

142. არ დააზარალო და არ დაზარალდები [140]

---

[137] მუსლიმი 1153

[138] ბუხარი 35

[139] ბუხარი 38

143. ალლაჰის შუამავალს(ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) ჰკითხეს აშურა დღის მარხვის შესახებ და უთხრა: ეს არის წინა წლის (ცოდვების) გამოსყიდვა. [141]

144. ვინც გამოტოვა 'ასრის ლოცვა, მან თითქოს დაკარგა მისი ოჯახი და ქონება. [142]

145. ვინც შეყოვნდება ზექათისგან, იქნება ჯოჯოხეთის ცეცხლში განკითხვის დღეს. [143]

---

[140] მუსნად აჰმად 2865

[141] მუსლიმი 1162

[142] ბუხარი 552

[143] ალ მუ'ჯამ ას-საღირ ატ-ტბარანი 20:145

146. იმარხეთ არაფა დღეს. ვიმევოდნებ, რომ ალლაჰი აპატიებს წინა და მომდევნო წლის ცოდვებს. [144]

147. ვინც შეიკავებს თავს ზექათისგან, ალლაჰი მათ შიმშლით გამოსცდის. [145]

148. ვერავინ ჭამს იმაზე უკეთეს ლუკმას, ვიდრე თავისი ხელით მოპოვებულს. შუამავალი დავუდი ჭამდა იმას, რაც მოჰყავდა თავისი ხელებით. [146]

---

[144] თირმიზი 749

[145] ალ მუ'ჯამ ას-საღირ ატ-ტბარანი 4577

[146] ბუხარი 2072

149. ჭეშმარიტად, მოწყალება აცხრობს ალლაჰის რისხვას და იცავს ცუდი სიკვდილისგან. [147]

150. აკეთეთ სიკეთე, და დაცულნი იქნებით უბედურებისა და ცუდი დასასრულისგან. [148]

151. ვინც აწევს მკლავებს ჩვენს წინააღმდეგ, არ არის ჩვენიანი. [149]

152. ნათესაური კავშირების გამყარება სიცოცხლეს ახანგრძლივებს. [150]

---

[147] თირმიზი 664

[148] ალ მუ'ჯამ ას-საღირ ატ-ტბარანი 7939

[149] ბუხარი 7070

153. ჭეშმარიტად, მოწყალება ღარიბი ადამიანის მიმართ მოწყალებაა. მოწყალება ნათესავის მიმართ არის ორნაირი: მოწყალება და ნათესაური კავშირის გამყარება. [151]

154. კაცი მივიდა შუამავალთან (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) და უთხრა: ო ალლაჰის შუამავალო, ვის მიმართ გამოვიჩინო სიკეთე? დედაშენის მიმართ, შემდეგ დედაშენის, და შემდეგ ისევ დედაშენის, ხოლო შემდეგ მამაშენის მიმართ, შენდეგ ახლობლების მიმართ და ახლობლების მიმართ. [152]

---

[150] ალ მუ'ჯამ ას-საღირ ატ-ტბარანი 7939

[151] ნასაი 2582

[152] აბუ დავუდ 5139

155. ისლამი დაიწყო უცნაურად, და ისევ დაუბრუნდება უცნაურობას, ასე რომ ტუბა უცნაურებს. [153]

156. ერთი კაცი ხალხს სესხს აძლევდა, და ის ეუბნებოდა მის მონას: თუკი მევალე გაჭირვებულია, მაშინ აპატიე მას, და ალლაჰი გვაპატიებს. და როცა ის (მევალე) შეხვდება ალლაჰს, ალლაჰი მას აპატიებს. [154]

157. მისვაქი (სივაქი) არის პირის ღრუს სისუფთავისთვის და ღმერთის კმაყოფილებისთვის [155]

---

[153] იბნ მაჯა 3987

[154] ბუხარი 3480

[155] ნასაი 5

158. ვინც აიღებს ვუდუს(აბდესს), და ამას კარგად გააკეთებს, მისი ცოდვები გამოვა მისი სხუელიდან, ასევე მისი ფრჩხილების ქვეშიდან. [156]

159. ჩემს უმმეთს რომ არ გართულებოდა, აბდესის აღების დროს, დავავალებდი, რომ ყოველი ლოცვის წინ გამოეყენებინათ სივაქი(მისვაქი) აბდესის დროს. [157]

160. აზანსა და ყამეთს შორის გაკეთებული დუა, არ იქნება უარყოფილი. [158]

161. ვინც აიღებს ვუდუს და ამას გააკეთებს კარგად, და იტყვის: მე ვამოწმებ, რომ არ არსებობს ღვთაება ალლაჰის გარდა, არ ჰყავს მას თანაზიარინი, და ვამოწმებ, რომ

---

[156] მუსლიმი 245

[157] სუნან ალ-ქუბრა 3039

[158] თირმიზი 212

მუჰამმადი მისი მსახური და შუამავალია.. სამოთხის რვავე კარიბჭე გაიხსნება მისთვის და რომლისგანაც ისურვებს იქედან შევა მასში. (მუსლიმი 234)

162. ლოცვა სამოთხის გასაღებია. (თირმიზი 4)

163. ვინც ააშენებს მასჯიდს (მეჩეთს) ალლაჰის კმაყოფილებისათვის, ალლაჰი მისთვის სახლს ააშენებს სამოთხეში. [159]

164. ისლამი ხუთ ბურჯზე ჩამოყალიბდა:

1. დამოწმება იმისა, რომ არ არსებობს ღვთაება გარდა ალლაჰისა, და მუჰამმადი მისი შუამავალია.

2. ლოცვის შესრულება(დღეში ხუთჯერ სავალდებულო ლოცვა).

---

[159] მუსლიმი 523

3.ზაქათის გადახდა.

4. მარხვა რამადანის თვეში

5. პილიგრიმობა. [160]

165. ვინც ზურგს იქცევს ჩემი სუნნასგან, არ არის ჩემიანი. [161]

166. განკითხვის დღეს ადამის შვილი ვერ გაინძრევა, ვიდრე არ უპასუხებს ხუთ შეკითხვაზე: როგორ გაატარა ცხოვრება, და როგორ გაატარა მისი ახალგაზრდობა, სად მოიპოვა სიმდიდრე და როგორ გახარჯა, და რაში გამოიყენა მისი ცოდნა. [162]

---

[160] ბუხარი 8

[161] ბუხარი 5063

[162] თირმიზი 2416

167. განკითხვის დღეს მონა-მსახურის განსჯის პირველი საქმიანობა ნამაზია, თუკი ნამაზი სწორად არ ექნება ნალოცი, დაიკარგება და დაზარალდება [163]

168. თუ ადამის შვილს მისცემ ორ ხეობა ქონებას, ის მესამეს მოინდომებს. ვერაფერი შეავსებს ადამის შვილის მუცელს მტვრის გარდა. [164]

169. რას ფიქრობთ, რომ რომელიმე თქვენგანის კარებთან მდინარე მოედინებოდეს და ის ბანაობდეს მასში დღეში ხუთჯერ, დარჩება მასზე რაიმე სიბინძურე? იმათმა უთხრეს: არა, არ დარჩება მასზე სიბინძურე. მან (შუამავალმა) უთხრა:

---

[163] თირმიზი 413

[164] ბუხარი 6436

ეს არის ხუთი ლოცვის მსგავსი, რითაც ალლაჰი მას ცოდვებს დაუფარავს. [165]

170. ალლაჰს ვისთვისაც კარგი უნდა, ის აძლევს მას რელიგიაში გაგებას [166]

171. ალლაჰმა გაუნათოს სახეს იმ ადამიანს, რომელმაც გაიგონა რაღაც ჩვენგან და გადასცემს სხვას ისე, როგორც გაიგონა. შესაძლოა მას, ვისაც გადასცემენ იმან უკეთესად გაიგოს, ვიდრე იმან, ვინც გაიგონა. [167]

172. ვინც გაივლის გზას ცოდნის საძიებლად, ალლაჰი სამოთხისკენ მიმავალ გზას გაუმარტივებს. [168]

---

[165] მუსლიმი 667

[166] თირმიზი 645

[167] თირმიზი 2657

173. ვინც იტყვის ტყუილს ჩემს შესახებ, მან გაიმზადოს ადგილი ჯოჯოხეთში. [169]

174. თქვენს შორის საუკეთესო არის ის, ვინც ყურანს სწავლობს და სხვასაც ასწავლის. [170]

175. იკითხეთ ყურანი, რადგან ის(ყურანი) მოვა განკითხვის დღეს შუამდგომლად მისი მიმდევრებისთვის. [171]

---

[168] იბნ მაჯა 225

[169] ბუხარი 110

[170] აბუ დავუდ 1452

[171] მუსლიმი 804

176. ადამიანი თავის ღმერთთან ყველაზე ახლოს მაშინაა, როცა სუჯუდს ასრულებს, ასე რომ გააკეთეთ ბევრი დუ'ა (ვედრება). [172]

177. ჯგუფური (ჯამაათი) ლოცვის ჯილდო ოცდაშვიდჯერ მეტია [173]

178. შუამავალს(ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) ჰკითხეს: რომელი საქმეა საუკეთესო? მან უპასუხა: ლოცვა თავის დროზე. [174]

---

[172] მუსლიმი 482

[173] ბუხარი 649

[174] თირმიზი 170

179. ვინც ილოცავს ფაჯრს ჯამაათით, დაჯდება და ახსენებს ალლაჰს ვიდრე მზე არ ამოვა, შემდეგ ილოცავს ორ მუხლს, დაჯილდოვდება ისევე, როგორც ჰაჯისა და უმრის დროს. ალლაჰის შუამავალმა შემდეგ თქვა: შეასრულეთ, შეასრულეთ, შეასრულეთ. [175]

180. ადამიანსა და ურწმუნოებას შორის ნამაზის მიტოვებაა. [176]

181. მრუშ ქალს ალლაჰმა აპატია, იმიტომ, რომ მან გაიარა ძაღლთან რომელიც მძიმედ სუნთქავდა და კვდებოდა უწყლოდ, მან გაიხადა ფეხსაცმელი და მისით წყალი დაალევინა. და ალლაჰმა მას ამის გამო აპატია. [177]

---

[175] თირმიზი 586

[176] თირმიზი 2620

[177] ბუხარი 3321

182. ისე ილოცეთ, როგორც მე ვლოცულობ. [178]

183. არ დასწყევლოთ თქვენი შვილები, არ დასწყევლოთ თქვენი მონები, არ დასწყევლოთ თქვენი ქონება, რადგან შესაძლოა თქვენი ვედრება დაემთხვეს იმ დროს, როცა თქვენს ვედრებაზე პასუხი გაეცემა. [179]

184. ადამის ყოველი შვილი ცოდვილია, და საუკეთესო ცოდვილი ის არის, ვინც ინანიებს. [180]

185. მუსლიმანის შეურაცხყოფა ფუსუყია (ცუდი საქმე) და მკვლელობა კი ქუფრი. [181]

---

[178] ბუხარი 631

[179] აბუ დავუდ 1532

[180] იბნ მაჯა 4251

[181] ბუხარი 48

186. ჩემს შემდეგ არაფერი დამიტოვებია იმაზე უფრო მძიმე ფიტნა კაცისთვის, ვიდრე ქალი. [182]

187. ვისაც სურს, რომ ჰქონდეს სარჩო (რიზღი) და გაუხანგრძლივდეს სიცოცხლე (რომ გაიხსენონ ის სიკვდილის მერე) მაშინ შეინარჩუნოს ნათესაური კავშირები. [183]

188. ალლაჰმა აგიკრძალა ურჩობა დედაშენის მიმართ [184]

189. აბდულლაჰ იბნ უმარმა თქვა: ღმერთის კმაყოფილება არის მშობლების კმაყოფილებაში. ღმერთის რისხვა არის მშობლების რისხვაში. [185]

---

[182] ბუხარი 5096

[183] მუსლიმი 2577

[184] ბუხარი , ქითაბ ალ-ადაბ 5975

190. ვინც მომცემს გარანტიას იმაზე, რაც არის მის ყბას და ფეხებს შორის, მე მივცემ მას სამოთხის გარანტიას. [186]

191. მესამე ადამიანის თანდასწრებით საიდუმლოდ არ ისაუბროთ, თუ მესამე ამის ნებართვას არ მოგცემთ. [187]

192. (ასაკით) უმცროსმა უნდა მიესალმოს უფროსს, მოსიარულემ მჯდომარეს, ხალხის მცირე ჯგუფმა უნდა მიესალმოს ხალხის დიდ ჯგუფს. [188]

193. ვერდრება თაყვანისცემაა. [189]

---

[185] ბუხარი, ადაბ ალ-მუფრად 1:2

[186] ბუხარი 6474

[187] ბუხარი 6288

[188] ბუხარი 6231

[189] თირმიზი 2969

194. დავინახე კაცი რომელიც ტკბებოდა სამოთხეში სიკეთის გამო; როცა ხე მოაშორა გზიდან რომ მუსლიმები არ შეწუხებულიყვნენ. [190]

195. ცოდნის ძიება ყოველი მუსლიმანის ვალდებულებაა. [191]

196. ჩემი სიამოვნება ლოცვაშია. [192]

197. მომაკვდავს ჩააგონეთ "ლა ილაჰა ილლა ლლაჰ" [193]

---

[190] მუსლიმი 1914

[191] იბნ მაჯა 224

[192] აჰმად მუსნად 14035

[193] მუსლიმი 916

198. არავინ არ ჭამოთ მარცხენა ხელით და არც დალიოთ მარცხენა ხელით, რადგან შაიტანი ჭამს და სვამს მარცხენა ხელით. [194]

199. ყოველი დაავადებისთვის არსებობს წამალი. [195]

200. ალლაჰი მისი წიგნით ზოგიერთს აამაღლებს, ხოლო ზოგიერთს დაამდაბლებს. [196]

---

[194] მუსლიმი 2020

[195] მუსლიმ 2204

[196] მუსლიმი 817

ჰადისები ალლაჰის შუამავალისგან

ალლაჰის ლოცვა და სალამი მას